სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყების, მათი შერჩევის კრიტერიუმებისა და წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ

1. 2021 წლის 5 აპრილს გამოცხადდეს კონკურსი სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით და დაიწყოს პრეტენდენტთა რეგისტრაცია.
2. პრეტენდენტთა რეგისტრაცია დაიწყო სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2021 წლის 26 აპრილის 10:00 საათიდან (მისამართი: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, ალ.გრიბოედოვის ქ. №8-10, ოთახი №212) და დასრულდეს 2021 წლის 29 აპრილის 18:00 საათზე. სარეგისტრაციო განაცხადის გამოგზავნა ასევე შესაძლებელია ელექტრონულ მისამართზე: hr@tsc.edu.ge;
3.აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსანტების დოკუმენტური მონაცემების გაცნობა და პრეტენდენტებთან გასაუბრება განხორციელდეს 2021 წლის 3 მაისიდან არაუგვიანეს 2021 წლის 6 მაისისა. პრეტენდენთან გასაუბრება, ქვეყანაში საგანგებო, საომარი ან ისეთი მდგომარეობის არსებობისას, რომელიც ზღუდავს ფიზიკურ პირთა გადაადგილებასა და შეკრებას, აკადემიური საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურად, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამების გამოყენებით.
4. აკადემიური საბჭოს მიერ კანდიდატის არჩევის საბოლოო ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2021 წლის 10 მაისი.
5. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის არჩევის ვადად განისაზღვროს 4 (ოთხი) წელი.
6. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

- უმაღლესი განათლება (მაგისტრი); (უპირატესობა ენიჭება საბიბლიოთეკო მუშაობის გამოცდილების მქონე კანდიდატს საერთაშორისო პროექტებში მუშაობის გამოცდილებით).
- 5-წლიანი სამუშაო გამოცდილება, მათ შორის, 3 წლიანი მუშაობის გამოცდილება მმართველობით პოზიციაზე.
- ერთ-ერთი უცხო ენის (სასურველია ინგლისურის) ცოდნა;
- კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office PowerPoint, Microsoft Office Outlook).
- სასურველია მუშაობის გამოცდილება განათლების ან/და კულტურის ან/და საბიბლიოთეკო მიმართულებებით;

სავალდებულოა შემდეგი საკანონმდებლო აქტების ცოდნა:

- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდება“.
- საქართველოს კანონი „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“.

სავალდებულოა კანდიდატს გააჩნდეს:

- ხელმძღვანელობისა და მართვის უნარი;
- გუნდური და ინდივიდუალური მუშაობის უნარები;
- დროის ეფექტიანად მართვის უნარი;
- გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხი;
- ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- ეფექტიანი კომუნიკაციის უნარი;
- საერთაშორისო პროექტებში მოლაპარაკებების წარმოების უნარი.

კონკურსში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს:

1. განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე (იხ. განცხადების ფორმა);
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ფოტოსურათიანი გვერდის ასლი;
3. ავტობიოგრაფია (CV);
4. 2 ფოტოსურათი, ზომით 3 X 4-ზე;
5. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
6. ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისა და განვითარების ხედვა;
7. ნასამართლობის შესახებ ცნობა;
8. სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა;
9. სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი, სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტი – შრომის წიგნაკი ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, რომელშიც ასახული იქნება სამსახურის დაწყებისა და დასრულების სრული თარიღები და დაკავებული თანამდებობა;

დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოენოვანი საბუთების შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის წარდგენა).

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის
აკადემიურ საბჭოს

მოქალაქე _____

_____

_____

(სახელი, გვარი, მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მსურს მონაწილეობა მივიღო თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში.

ხელმოწერა: _____ თარიღი: _____

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტელეფონი/ ელ.ფოსტა